

## მოციქულთა საქმის ქართულ ვერსიასთან დაკავშირებული საკითხები

აგნეს უზუნიანი

*INaLCO, ICP, პარიზი, საფრანგეთი*

რეზიუმე. იმის პრეტენზიის გარეშე, რომ გადამწყვეტი პასუხი გავცეთ შეკითხვას თუ რომელი, ბერძნული თუ სომხური ორიგინალიდან ითარგმნა *მოციქულთა საქმის* ქართული ვერსია, გვინდა, თქვენი ყურადღება მივაპყროთ ბერძნული, ქართული და სომხური ტექსტების შედარებითი შესწავლის დროს შენიშნულ რამდენიმე ენობრივ მოვლენას.

ქვემოთ განვიხილავთ სამ საკითხს. ორი მათგანი *მოციქულთა საქმის* ქართულსა და სომხურ ვერსიებს შეეხება, ხოლო მესამე კი - თხზულების ქართულსა და ბერძნულ ვერსიებს.

საკვანძო სიტყვები: *ბიბლიური წიგნების ქართული რედაქციები, საქმე მოციქულთა*

### 1. Plurale tantum

1.1. საკითხი Plurale tantum-ის, ანუ, მხოლოდ მარვლობითის ფორმით გამოყენებადი არსებითი სახელების შესახებ განუწყვეტლივ წინა პლანზე იწევს, როდესაც ქართული ტექსტის სომხურიდან წარმომავლობა დასამტკიცებელი. მართლაც, ცნობილია, რომ ძველი სომხური იმ ტერმინთა დიდ რაოდენობას მოიცავს, რომელთა მოხმარებაც მხოლოდითის ფორმით შეუძლებელია. ამის მაგალითად არსებითი სახელი „ცა“ გამოდგება.

### 1.2. ცა-ნი ო იპარვძი ერკინ-პ erkin-k'

სომხური ტერმინი ერკინ-პ erkin-k' „ცა“ ჩვეულებრივ, მრავლობითში მოიხმარება. რაც შეეხება, ქართულ ტერმინს „ცად“, იგი მხოლოდითშიც შეიძლება შეგვხვდეს და მრავლობითშიც<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ლექციონარებით შემონახულ *მოციქულთა საქმის* პერიკოპებში, „ცად“ ოთხგზის გვხვდება მხოლოდითსა და მრავლობითში. ერთი ამ ოთხგზის მრავლობითში მოხმარებული „ციდან“ ბერძნულშიც მრავლობითის ფორმას შეესატყვისება (*საქ. მოვ.*, 7, 56).

1.2.1. ქართულ *მოციქულთა საქმეში* სამგზის გვხვდება „ცა“ მრავლობითში (იხ. მაგალითებში დახრილად) იქ, სადაც ის ბერძნულში მხოლოდითის ფორმაა (იხ. გამუქებით), ხოლო სომხურში კი მრავლობითისა (იხ. დახრილად);

აი, ორი<sup>1</sup> ამ სამი მაგალითიდან:

*მოც. საქმე 2, 19:*

და ვსცე ნიშებ *ცათა შინა* და სასწაულ ქუეყანასა ზედა, სისხლი და ცეცხლი და არმური კუამლისად

και δάσω τέρατα ἐν τῷ οὐρανῷ ἄνω και τημεῖα ἐπὶ τῆς γῆς ἤσκατάω, ἀίμα και πῖρ και ἀτμίδα καπνῶν

Եւ տաց նշանս *յերկինս* ի վեր, եւ նշանս յերկիր ի խոնարհ, արինս եւ հուր եւ մրրիկ ծխոյ: ew tac' nšans *yerkins* i ver, ew nšans yerkir i xonarh, ariwn ew howr ew mrrik cxoy.

*მოც. საქმე 7, 49*

*ცანი* საყდარნი ჩემნი არიან და ქუეყანად კუარცხბერკი ფერჯთა ჩემთად. რაბამი სახლი მიშწნეთ მე, - თქუა უფალმან, - ანუ რამე ადგილი იყოს განსასუენებელისა ჩემისად?

Ὁ οὐρανός μοι ἰσχύει, ἢ δὲ γῆ ὑποπτόδιον τῶν ποδῶν μου· ποῖον οἶκον οἰκοδομήσεται μοι, λέγει κύριος, ἢ τίς τόπος τῆς καταπαύσεώς μου;

*ერկինք* արժո իմ ես, եւ երկիր պատուանդան ուից իմոց. որպիսի<sup>0</sup> տուն շինեցեք ինձ՝ ասէ տէր. կամ զի՞նչ տեղի հասգստեսն իմոյ. *erkink'* at'of im en, ew erkir patowandan otic' imoc'. orpisi? town šinec'ek' inj, asê têr. kam zi?nč' teli hangstean imoy.

---

<sup>1</sup> მესამე მაგალითს "ცის" მრავლობითის ფორმისა *საქ. მოც. 10, 11* -ში ვხვდებით: და ხედვიდა, ვითარ *ცანი* განხუმულ იყვნეს, და ჭური რამე მსგავსი დიდისა ტილომსად ოთხთავე კიდეთა ზეცით ქუეყანად / OGL რამეთუ ხედვიდა, ვითარ *ცანი* განხუმულ იყვნეს და ჭური რამე დიდი, მსგავსი ტილომსად, ოთხთავე კიდეთა ზე ეპყრა და დამოეკიდა ზეცით ქუეყანად. και θεωρεῖ τὸν οὐρανὸν ἀνεπαγμένον και καταβῆνον στενός τι ἄς ὀμότην μεγάλην τέσσαρσις ἄρχαῖς καθήμενον ἐπὶ τῆς γῆς και τῆς ἰσχύος *qերկինս* բացեալ. եւ գտրեցուց տրსոնց կախեալ անօթ ինչ իբրև կտատոյ մեծի իջեալ նստեալ ի վերայ երկրի. ew tesanê *zerkins* bac'eal. ew zč'orec'ownc' têtnoc' kaxeal anôt' inc' ibrew ktawoy meci ijéal nsteal i veray erkri.

1.2.2. ეს ორი ციტატა განსაკუთრებით იმითაა საინტერესო, რომ საქმე ეხება ძველი ალთქმის ნაწყვეტებს, კერძოდ კი - იოველ და ისაია წინასწარმეტყველისას. ამასთან, ორივე შემთხვევაში, ძველ ალთქმაში „ცა“ მხოლოდითშია, ისევე, როგორც ბერძნულში.

*იოველ წინასწარმეტყველი 2, 30/LXX იოველ წინასწარმეტყველი 3, 3*  
და ვსცე ნიშები ცასა შინა ზე და სასწაულუბ ქუეყანასა ზედა ქუე,  
სისხლი და ცეცხლი და აღმური კუამლისა.

καὶ δῶσα τέρατα ἐν τῷ οὐρανῷ καὶ ἐπὶ τῆς γῆς, αἴμα καὶ πῖρ καὶ ἄραια καρπῶν·

სი თაგ სჯასუ *ქერქისუ* ἰ վեր, სი სჯასუ *ქერქիր* ἰ ἰუსნარჲ, არქის  
სი հուր სი մրրիկ ծխոյ: ew tac' nšans *yerkins* i ver, ew nšans *yerkir* i  
xonarh, ariwn ew howr ew mrrik cxoy.

*ისაია წინასწარმეტყველი 66, 1*

ცად საყდარ ჩემდა, ხოლო ქუეყანა კუარცხლბეც ფერჯთა ჩემთა,  
რომელი სახლი, ადგილი მიშენოთ მე? - თქუა უფალმან, - და  
რომელი ადგილი განსუენებისა ჩემისა?

Ὁ οὐρανός μοι θρόνος, ἢ δὲ γῆ ὑπόπῳδιον τῶν ποδῶν μου· ποῖον  
οἶκον οἰκοδομήσετέ μοι; ἢ ποῖος τόπος τῆς καταπαύσεώς μου;

*ქერქისუ* աբոո իմ են' სი *ქერქիր* պատուանդան ոսից իմոց: ո'րպիսի  
տուն շինիցեք ինձ ասէ տէր, կամ ո'րպիսի ինչ իցէ այն տևոյի  
հանգստեան իմոյ: *erkink'* at'of im en, ew *erkir* patowandan otic' imoc'.  
o?rpsi town šinic'ék' inj asé têr, kam o?rpsi inč' ic'ê ayn tehi hangstean  
imoy.

ქვემოთ გთავაზობთ შემაჯამებელ ტაბულას ტერმინ "ცასთან"  
დაკავშირებით: მრავლობითის ფორმა მოციქულთა საქმიდან,  
მსგავსად სომხურისა, წითლითაა მითითებული. მხოლოდითის  
ფორმა ძველი ალთქმიდან, მსგავსად ბერძნულისა - ლურჯად.

მოც. საქმე 2, 19	იოველი 2, 30 / LXX იოველი 3, 3	მოც. საქმე 7, 49	ისაია 66, 1
<i>ცათა შინა</i>	<i>ცასა შინა</i>	<i>ცანი</i>	<i>ცად</i>
<i>pluriel</i>	<i>singulier</i>	<i>pluriel</i>	<i>singulier</i>
<i>ἐν τῷ οὐρανῷ</i>	<i>ἐν τῷ οὐρανῷ</i>	<i>ὁ οὐρανός</i>	<i>ὁ οὐρανός</i>
<i>singulier</i>	<i>singulier</i>	<i>singulier</i>	<i>singulier</i>
<i>ქერქისუ</i>	<i>ქერქისუ yerkins</i>	<i>ქერქისუ erkink'</i>	<i>ქერქისუ</i>

<i>yerkins</i>			<i>erkink'</i>
<i>pluriel</i>	<i>pluriel</i>	<i>pluriel</i>	<i>pluriel</i>

1.3. იმ შემთხვევაშიც, თუ ვივარაუდებთ, რომ "ცის" მრავლობითის ფორმით ხმარება ქართულში არავითარ უცნაურობას არ წარმოადგენს, მაინც აღსანიშნავია, რომ ძველი აღთქმის ორსავე ციტატაში მხოლოდითის ფორმა გვხვდება და ეს მაშინ, როცა *მოციქულთა საქმეში* მრავლობითის ფორმებია. ჩვენი აზრით, საკმაოდ საფუძვლიანია *მოციქულთა საქმის* ამ ძველ აღთქმისეულ ციტატებში სომხური ვერსიის კვალის არსებობის ვარაუდი.

შესაძლებელია სხვა მაგალითებზეც მითითება, როცა ქართული და სომხური ტექსტები მრავლობითის ფორმებს იძლევიან, მაშინ, როცა ბერძნულში მხოლოდითი ზის. ბევრია ისეთი მაგალითებიც, როცა ქართული და სომხური ვერსიები ერთმანეთს არ ეთანხმებიან. თუმცა, ჩვენ გვეჩვენება, რომ შემთხვევები, სადაც ქართული ვერსიის მრავლობითი სომხურის plurale tantum-ს შეესაბამება მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, როცა იმის გარკვევა გვსურს, თუ რა როლი ითამაშა *მოციქულთა საქმის* სომხურმა ვერსიამ ქართული თარმანის წარმოშობაში.

*მოციქულთა საქმის* ქართული, სომხური და ბერძნული ვერსიების შედარებითი შესწავლისას კიდევ ერთ გამოთქმას წავაწყდით, რომელიც ამ კონტექსტში საინტერესოდ გვეჩვენა და სურვილი გვაქვს, თქვენი ყურადღება მასაც მივაპყროთ.

## 2. სპეციფიკური გამოთქმა

2.1. სომხური გამოთქმა *hրաման տամ hraman tam*, სიტყვასიტყვით - „ბრძანების გაცემა“ - ძალიან ხშირი მოხმარებისაა. მიუხედავად ამისა, ზმნა, რომელიც ყველაზე ხშირად მოიხმარება „ბრძანების გაცემის“ აღსანიშნად არის *hրամայեմ hramayem*, რომელიც ბიბლიაში უფრო ხშირია ბერძნულ *κελεύω*-ს შესატყვისად; საზოგადოდ, *κελεύω*-ს ფარდად ქართულში „ბრძანება“-ს ვხვდებით.

2.2. *მოციქულთა საქმეში* ორგზის ვხვდებით გამოთქმას *hրաման տամ hraman tam*. პირველში ამ შემთხვევათაგან (*მოც.*





ჩვენთვის ცნობილი უძველესი ტექსტის ამ ნაწყვეტს მოვიტანდით:

*შუშანიკის წამება, 16,26,8*

თანადაუჯდა და ჰკითხვიდა სალმოზათა მათთვის.

ამრიგად, აქ ფორმა „თანადაუჯდა“ გვხვდება, რომელიც ზმნისწინებით „თანა“ და „და“ გახლავთ ფორმირებული.

3.2. დავუბრუნდეთ საქმე მოციქულთას ტექსტს.

ჟილ დორვალისადმი მიძღვნილი სტატიების კრებულში ბერნარ უტიემ ორმაგი ზმნისწინებით ფორმირებული ქართული ზმნების სია წარმოადგინა; მათ ბერძნულშიც ორმაგ ზმნისწინიანი ზმნები შეესაბამებათ:

*საქ. მოც. 1, 26<sup>1</sup>: თანაშეერაცხა, თყ-κατ-επιφοισθη.*

*საქ. მოც. 3, 18: თანაძსწარაღუთქუა, προ-κατ-ηγγελειεν.*

*საქ. მოც. 12, 25: თანაწარიყვანეს, თყ-παρα-λαβοντες.*

*საქ. მოც. 15, 37: თანაწარიყვანა, თყ-παρα-λαβειν.*

აღვნიშნოთ, რომ ამ ზმნების პრველ ქართულ და ბერძნულ ზმნისწინებში სრული შესატყვისობა შეინიშნება.

თყ- თანა-

προ- წინაძსწარ-

მაგრამ ამ შესაბამისობიდან გამომდინარეობს თუ არა ის, რომ ქართული ტექსტი მაინცდამაინც ბერძნულზეა დამოკიდებული? თუ ვუპასუხებთ, რომ ეს მართლაც ასეა, განა ძალიან ზედაპირულები არ აღმოვჩნდებით?

სინამდვილეში მონაცემები საკმაოდ კომპლექსურ სურათს იძლევიან. ქართულში შესაძლებელია ისეთი მასალის დანახვა, სადაც ორმაგ ზმნისწინიანი ფორმები ბერძნულში ერთ ზმნისწინიან ფორმებს შეესატყვისება და პირიქით, ერთ ზმნისწინიანი ქართულის ფორმები ორ ზმნისწინიანების შესაბამისი ჩანს ბერძნულში.

3. 3. ასე მაგალითად, *საქ. მოც. 3, 18*-ს შეიძლება შევუპირისპიროთ *საქ. მოც. 7, 52*: ორივე მუხლში გვხვდება ზმნა προ-κατ-αγγελλα ორმაგი ზმნისწინით. რაც შეეხება

---

<sup>1</sup> *საქ. მოც. 1, 26* და *თანაშეერაცხა* ათერთმეტთა მოციქულთა მეთორმეტედ και *συκαταεπιφοισθη μετδ τιν εινδεκα ηπιστολων*. სხვა მუხლების ციტიტებას ქვემოთ ტექსტში შემოგთავაზებთ.

ქართულ ვერსიას, თუ *საქ. მოც. 3, 18*-ის შესატყვისად ორმაგზმისწინიანი ფორმა გვხვდება ქართულში, სამაგიეროდ, *საქ. მოც. 7, 52*-ში ერთზმისწინიანი ფორმა ზის (ამ შემთხვევაში გვერდს ვუვლით გრამატიკულ პრობლემას იმის თაობაზე, „წინააწარ“ ზმისწინად უნდა იქნეს მიჩნეული, თუ ზმისზედად).

*საქ. მოც. 3, 18*

ხოლო რომელი-იგი ღმერთმან *წინააწარ* აღუთქუა პირითა ყოველთა წინააწარმეტყუელთა მისთა მიერ, ვნებამ ცხებულისა მისისამ, ადასრულა ესრჳთ.

ὁ δὲ θεὸς ἂν προκατήγγειλεν διὰ στόματος πάντων τῶν προφητῶν παθεῖν τὸν Χριστὸν αὐτοῖς ἐπλήρωσεν οὐτως.

*საქ. მოც. 7, 52*

და მოწყვდნეს, რომელნი-იგი *წინააწარ* უთხრობდეს მოსლვასა მას წმიდისასა... [OLG *წინაწარ* უთხრობდეს]

καὶ ἀπέκτειναν τοὺς προκαταγγειλαντας περὶ τῆς ἐλεύσεως τοῦ δικαίου...

ანალოგიურად, თუ *საქ. მოც. 12, 25* და *საქ. მოც. 15, 37* ბერძნულში გვიჩვენებს სუμ-παρ-α-ლაμბანა ორზმისწინიან ზმნას, რომელიც ქართულში გადმოტანილია ორზმისწინიანივე ფორმით „თანაწარყვანება“, სამაგიეროდ *საქ. მოც. 15, 38*-ში ბერძნული ზმნის პირველი ზმისწინი სუ-არაა თარგმნილი ქართულში, რომელიც უბრალოდ „წარყვანება“-ს გვთავაზობს.

*საქ. მოც. 12, 25*

თანაწარყვანეს იოვანეცა, რომელსა სახელი წოდებული იყო მარკოს

συμπαράλαβόντες καὶ Ἰωάννην τὸν ἐπικληθέντα Μάρκον

*საქ. მოც. 15, 37*

ზარნაზას ესრე უნდა, რადთამცა იოჰანე თანაწარყვანა Βαρνάβας δὲ ἐβουλεύσατο συμπαράλαβεῖν τὸν Ἰωάννην

*საქ. მოც. 15, 38*

არა წარყვანებად იგი

μὴ συμπαράλαβεῖν τοῦτον

3.4. საპირისპიროდ, *საქ. მოც. 15, 39* ქართულში ორზმნისწინიან ზმნას იძლევა: „თანა-წარ-ყვანება“, მაგრამ ამ ადგილას ბერძნულში გვხვდება ერთზმნისწინიანი ფორმა παρα-λαμβάνω.

*საქ. მოც. 15, 39*

და ბარნაბა თანა წარყვანა მარკოს  
τόν τε Βαρναβῆν παραλαμβάνοντα τὸν Μάρκον

3.5. ისეთ შემთხვევებსაც ვხვდებით, როცა ბერძნული ორზმნისწინიანი ფორმის ფარდად ქართულში მიმართულებითი ზმნისწინის უქონელი ფორმაა:

*საქ. მოც. 1, 6*

კულადად მოაგო სასუფეველი ისრაჴლსა  
ἀποκαθιστάνεις τὴν βασιλείαν τῆς Ἰσραήλ

სადაც ზმნისზედა „კულადად“ გარკვეულწილად ზმნისწინ ἄπο-ს გადმოსაცემადაა მოხმარებული.

სხვა მაგალითი: *საქ. მოც. 22, 21*

და მრქუა მე: "წარვედ, რამეთუ მე ნათესავთა შორიელთა მიგაველინო შენ".

καὶ εἶπεν πρὸς με, Πορεύου, ὅτι ἔγώ εἰς ἔσθην μακρὸν ἔξαποστελῶ σε.

3.6. ზემოთდამოწმებულ მუხლში *საქ. მოც. 22, 21* ზმნა ἔξα-პო-στελλῶ ვხვდებ; ამ ზმნის ფარდად ქართულს შეიძლება ჰქონდეს უზმნისწინო ფორმა, როგორც აქ, *საქ. მოც. 22, 21*-ში, ან იგივე ზმნა ზმნისწინით წარ- (*საქ. მოც. 7, 12*), ან კიდევ სხვა ზმნა ზმნისწინით გან- (*საქ. მოც. 17, 14*)

*საქ. მოც. 7, 12*

და წარავლინნა მამანი ჩუენნი პირველად.  
ἔξαπέστειλεν τοὺς πατέρας ἡμῶν πρῶτον.

*საქ. მოც. 17, 14*

მუნქუესვე განყვანნეს ძმათა მათ პავლე და წარგზავნეს იგი ზღვსკიდით კერძო.

εὐθὺς δὲ τότε τὸν Παῦλον ἔξαπέστειλαν οἱ ἀδελφοὶ πορεύεσθαι ἄς ἐπὶ τὴν θάλασσαν.

3.7. დასასრულისთვის აღვნიშნავთ, რომ მარტივ ზმნისწინიანი ფორმა „წარვლინება“ რომელსაც *საქ. მოც. 7, 12*-

ში ვხვდებით და რომელიც ორზმნისწინიან ἔξ-απο-στέλλα-ს შეესაბამება, *საქ. მოც. 7, 14*-ში თარგმნის ამავე დროს ერთზმნისწინიან ἄ ἀποστέλλα-საც:

*საქ. მოც. 7, 14*

წარავლინნა იოსეფ...

ἀποστειλάς δὲ Ἰωσήφ...

3.8. ამ ტიპის მაგალითების გამრავლებაც შეიძლება, მაგრამ ჩვენ იმ მაგალითების არასრული სიით შემოვიფარგლებით, რომლებიც ბერძნულშიც და ქართულშიც ორმაგზმნისწინიან ფორმებს მოიცავს:

ქართული	ბერძნული	მაგალითები
ორზმნისწინიანი	ორზმნისწინიანი	<i>საქ. მოც. 1,26 3,18 12,25 15,37</i>
ორზმნისწინიანი	ერთზმნისწინიანი	<i>საქ. მოც. 6,10 7,8 7,51 15,39 27,40 (OLG), etc.</i>
ერთზმნისწინიანი	ორზმნისწინიანი	<i>საქ. მოც. 7,12 7,52 13,31 15,5 15,38 17,14 20,10, etc.</i>
უზმნისწინო	ორზმნისწინიანი	<i>საქ. მოც. 1,6 11,22 12,11 13,41 15,3 18,28 22,21, etc.</i>

3.9. ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ ქართულის ორზმნისწინიანი ფორმები, რომელთა შესატყვისიც ბერძნულში უზმნისწინო ფორმა იქნებოდა; მაგრამ თუ ზმნური ფორმებით არ შემოვიფარგლებით, ჩვენი სია შეიძლება შემდეგი მაგალითებითაც განვავრცოთ:

*საქ. მოც. 27,40*

და კავნი იგი მოჰქსნნეს და უტევნეს ზღუად, და მას თანა მიუტევნეს თანაშესაუღლებელნი იგი საჭეთანი, და აღიპყრეს აფრა იგი მცირე, და ქარით კერძო ეპყრა კიდედგან.

καὶ τὸς ἀγκύρας περιελόντες εἶσαν εἰς τὴν θάλασσαν, ἃμα ἀνέντες τὰς ζευκτηρίας τῶν πηδάλων, καὶ ἐπάραντες τὸν ἄρτέμωνα τῆς πνεοῦσσι κατεῖχον εἰς τὸν αἰγιαλόν.

სადაც „თანაშესაუღლებელი“, რომელიც თარგმნის ζευκτηρία-ს, მომდინარეობს ზმნიდან „თანაშეუღლება“ რომელის გამოყენებაც სხვაგან არსად დასტურდება.

3.10. ზმნისწინიან ფორმებზე დასკვნის გამოსატანად გვინდა აღვნიშნოთ, რომ იმ შემთხვევებშიც, სადაც ქართულ-ბერძნულში ორზმნისწინიან ზმნურ ფორმებში თანხვედრას ვამჩნევთ, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ საქმე არ ეხება სისტემატურ დამთხვევებს ან რაიმე ავტომატურ შესატყვისობას. თუ ვიგულისხმებთ, რომ *მოციქულთა საქმის* ქართველ მთარგმნელს თვალწინ ბერძნული მოდელი ჰქონდა, მაშინ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ მთარგმნელს მასზე დამოკიდებულების არავითარი კვალი არ დატყობია და თავისუფლად მოპყრობია თავის მოდელს. ამის შედეგად იგი ორზმნისწინიან ბერძნულ ფორმას ხარ ორზმნისწინიანი ქართული ფორმით თარგმნის, ხან ერთზმნისწინიანით, ხან უზმნისწინოთი და ხანაც ზმნისზედის თანხლებით წარმოდგენილი ზმნური ფორმით.

4. საბოლოოდ, ამ ლინგვისტური მიმოხილვის შედეგად, რომელმაც ლექსიკური ერთეულის „ცის“ თარგმნისა პრობლემა, გამოთქმა „ბრძანების გაცემა“ და ზმნისწინიანი ზმნური ფორმების ანალიზი მოიცვა, მართებულად გვეჩვენება ვივარაუდოთ, რომ *მოციქულთა საქმის* ქართული ვერსია ბერძნულზეა დამოკიდებული, მაგრამ გამოსარიცხი არც ისაა, რომ მან აქა იქ სომხური ტექსტის კვალიც შემოგვინახა.

(თარგმნა თ. პატარიძემ)